
კულტურათაშორისი ლიტერატურული დისკურსი
Intercultural Literary Discourse

Ivane Mtchedeladze

ივანე მჭედელაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**Ukrainian Scientific Literature on Ukrainian-Georgian Literary Relations:
Constellation of Knowledge**

**უკრაინული სამეცნიერო ლიტერატურა უკრაინულ-ქართული ლიტერატურული
ურთიერთობების შესახებ: ცოდნის კონსტელაცია**

Ukrainian-Georgian literary context is an important segment of Soviet cultural policy. In modern studies, the literary development is considered as a cognitive process. Sovietologists compare it to Michel Foucault's theory and conclude that "power" and "knowledge" in literature are inseparably linked through practices and discourses (M. Lecke).

The researchers consider the literary process of the Soviet period as a "constellation of knowledge", in which the issues such as the relations between the center and the peripheries, peripheral culture and the search for cultural autonomy, central and marginal positions in the literary field, etc. are discussed. The research presented in the report is based on the methodology and scheme, developed by the modern German scientist Miria Lecke. In the literature created on Russian-Georgian literary relations, M. Lecke singles out – cult of classics, sociocultural factors of development of translation and literary process (personnel, themes, methods, institutions). Similar approach is completely new and is relevant to the Ukrainian-Georgian literary context as well.

Concepts such as East/West, orientalism, cultural imperialism, post-colonialism, etc. are used for theoretical analysis.

Key words: Ukrainian-Georgian relations, Literary criticism, Soviet and Post Soviet Studies

საკვანძო სიტყვები: უკრაინულ-ქართული ურთიერთობები, ლიტერატურათმცოდნეობა, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევები

უკრაინულ-ქართული ლიტერატურული კონტექსტი, როგორც ამ ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების ისტორიის ნაწილი, მოიცავს საკმაოდ დიდი რაოდენობის მხატვრულ, ნათარგმნსა და მათ შესახებ სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურას. იმის გამო, რომ ლიტერატურული დისკურსის ამსახველი ეს სფერო სხვადასხვა ისტორიულ რეალობაში განსხვავებულად აღიქმებოდა, მის შესახებ არაერთი ნაშრომი დაიწერა. ამ ნაშრომების საფუძვლიანად გაანალიზებამ კვლავ გამოკვეთა ტენდენცია: ჯერ კიდევ არსებობს ყურადღების მიღმა დარჩენილი გამოუკვლეველი მასალები და ფაქტები; ასევე – პროცესი ახლებური ინტერპრეტაციებითა და თანამედროვე მიდგომებით კონტექსტუალიზაციას საჭიროებს.

საბჭოთა ეპოქის უკრაინაში ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების დარგის, განვითარება მკაფიოდ ირეკლავს პოლიტიკის გავლენას. ამ დროს შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა მიჰყვება ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტებით განპირობებული კულტურული პოლიტიკის ლაბირინთებს. გამონაკლისი არც უკრაინულ-ქართული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურაა, რისი განვითარების „ოქროს ხანა“ სწორედ აღნიშნული პერიოდი იყო.

სოვიეტოლოგიურ კვლევებში ლიტერატურული პროცესი კოგნიტიურ მოვლენადაა განხილული. მკვლევრები მას უსადაგებენ მიშელ ფუკოს თეორიას და აღნიშნულია, რომ ლიტერატურაში „ძალაუფლება“ და „ცოდნა“ პრაქტიკებისა და დისკურსების მეშვეობით ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებული (Лекке, 2018, გვ. 31). საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული პროცესი თანამედროვე მეცნიერებაში ცოდნის კონსტელაციადაა განხილული, რის მიხედვითაც განიხილება ცენტრსა და პერიფერიებს შორის მიმართებები, პერიფერიული კულტურა და ინტელექტუალური ავტონომიურობისკენ სწრაფვა, ცენტრალური და მარგინალური პოზიციები „ლიტერატურულ ველზე“ და ა.შ.

სტატიაში წარმოდგენილი კვლევა დაეფუძნება გერმანელი მეცნიერის, მირია ლეკეს, მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიასა და სქემას. რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ შექმნილ ნაშრომში მეცნიერმა გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი – *კლასიკოსების კულტი*, *თარგმანისა* და *ლიტერატურული პროცესის განვითარების სოციოკულტურული ფაქტორები (კადრები, თემები, მეთოდები, ინსტიტუციები), ლიტერატურული წყვილები და სხვ.* ამგვარი მიდგომა ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევებში ახალია და მართლზომიერად ესადაგება უკრაინულ-ქართულ წყვილსაც.

ანალიზისთვის გამოყენებულია ლიტერატურისა და კულტურის კვლევებში, პოსტკოლონიურ თეორიაში დამკვიდრებული კონცეფციები – აღმოსავლეთი/დასავლეთი, უცხო/სხვის ეგზოტიზაცია, კულტურული იმპერიალიზმი, ტოტალიტარული და ნაციონალური მოდელები, კულტურული იდენტობა, ორმაგი არტიკულაცია და სხვ.

ისტორიული წინაპირობები

უკრაინაში ქართული მწერლობისადმი მეცნიერთა ინტერესი მეცხრამეტე საუკუნეში გაღვივდა. ამ პერიოდის შესახებ თანამედროვე მკვლევრები აღნიშნავენ, რომ: „XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაში უკრაინელებს არ ჰქონდათ უფლება შეექმნათ საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საკუთარი ნაციონალური ინსტიტუციები“ (Екельчик, 2011, გვ. 119). იმპერიული ქსენოფობიური პოლიტიკა უკრაინის მიმართ განსაკუთრებით მკაცრდებოდა. ეს შეეხო კულტურასა და მეცნიერებასაც. საკანონმდებლო დონეზე აიკრძალა უკრაინულ ენაზე ბეჭდვა (*ვალუევის ცირკულარი 1860 წ.*), მოგვიანებით წიგნების ბეჭდვასთან ერთად უკრაინულ ენაზე აიკრძალა პიესების დადგმა და სიმღერების შესრულებაც კი (*1876 წ. ბად ემის ბრძანება*). რუსული იმპერიალიზმის მკვლევრის, ალექსადრ ეტკინდის, მოსაზრებით: „კოლონიზაცია ყოველთვის ორი კომპონენტის – პოლიტიკურისა და კულტურულისგან შედგება, რომელიც წარმოაჩენს თუ როგორ მუშაობს კულტურული ჰეგემონია და პოლიტიკური დომინირება კოლონიზაციის პროცესში“

(ოტკინდ, 2016, გვ. 17). მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების უკრაინულ კულტურასა და მეცნიერებაში ჰეგემონიისა და დომინაციას, ასევე მისგან თავდახსნის სტრატეგიებს კონტრდისკურსების სახით დიდი ადგილი უკავია, რამაც განაპირობა უკრაინული მასალის ჩართვა პოსტკოლონიური კვლევებში.

მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში განათლება მიღებულმა მეცნიერებმა – ივან ფრანკომ და მიხაილო დრაგომანოვმა საფუძველი ჩაუყარეს მოდერნულ უკრაინულ მწერლობასა და მის შესახებ მეცნიერულ აზრს. სწორედ მათ ნაშრომებში გამოიკვეთება ქართული მწერლობა. ივან ფრანკო ვენის უნივერსიტეტში „ვარლამისა და იოსაფის“ შესახებ დისერტაციაზე მუშაობის დროს დაინტერესდა ქართულ კულტურით. როგორც შემდგომში აღ. მუშკუდიანის კვლევებმა ცხადყო, დიდი უკრაინელი მეცნიერის პირად არქივში ბევრი მასალა ყოფილა საქართველოსა და კავკასიის შესახებ (Мушкუდიანი, 1986, გვ. 50-52). ქართული ლიტერატურის შესახებ სტატია იბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის უკრაინულ პერიოდიკაშიც, აღ. ლოტოცკის ნაშრომში „საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პერსპექტივები“ (1894 წელი, „პრავდა“), ტენდენციურადაა განხილული ქართული მწერლობა – არასწორადაა ინტერპრეტირებული „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსული წარმომავლობაც. ოდნავ მოგვიანებით ანტიიმპერიულ ორგანიზაცია „კირილე-მეთოდეს ძმობაში“ მონაწილეობისათვის კავკასიაში გადმოსახლებული მეცნიერი, მიკოლა გულაკი, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ დაწერილ ვრცელ ნაშრომში ქართულ ნაწარმოებს შეადარებს აღმოსავლურ და დასავლურ შუა საუკუნეების ტექსტებს ერთგვარ ტიპოლოგიურ საფუძველზე – კონცეპტუალური პარალელების, მსგავსებებისა და განსხვავებებათა ძიების გზით (Грицик, 2013, გვ. 126-135). გამორჩეული საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, მიხალო დრაგომანოვი, ფრაგმენტულად შეეხება თავის ნაშრომში სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ საკითხს და მის სავარაუდო მიმართებას ძველ სლავურ მწერლობასთან.

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის უკრაინულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული მწერლობის შესახებ მეცნიერულ ტრადიციას დაედო სათავე. იგი უდავოდ ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს ქართული ლიტერატურის შესწავლის ევროპულ ტრადიციასთან. ევროპულ მეცნიერებაში ქართული ლიტერატურის შესწავლის კონცეპტუალური საფუძვლები, პრევალირება დასავლური და აღმოსავლური კულტურული მოდელების კონტექსტში ფუნდამენტურად აღწერა აკადემიკოსმა ელგუჯა ხინთიბიძემ (ხინთიბიძე, 2003, გვ. 17-60).. ამ ნაშრომში უკრაინული მეცნიერება გასაგები მიზეზების გამო არ არის მოხვედრილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინული მეცნიერებაც უმეტესწილად იზიარებს ზოგადევროპულ დისკურსს ქართულ ლიტერატურასთან მიმართებით.

მეცხრამეტე საუკუნიდან უკრაინულ ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობაში საქართველოს რეპრეზენტაცია ჰკავს რომანტიზმისათვის დამახასიათებელ აღმოსავლეთის აღქმის ზოგად პარადიგმებს. *უძველესი არქეტიპი* რომანტიზმის ეპოქის ევროპულ/დასავლურ ცნობიერებაში ეგზოტიკური აღმოსავლეთის აღქმის დომინანტურ კულტურულ მარკერადაა სამეცნიერო ლიტერატურაში (Модебадзе, И., Мегрелишвили, Т., 2005, გვ. 128-136). მიჩნეული. ამიტომაც ინტერესდებოდნენ ძველი ქართული მწერლობითა და კულტურით მეცხრამეტე საუკუნის ევროპული ყაიდის უკრაინელი მეცნიერები. ამის ინტენციას ასევე აძლიერებდა მშობლიური უკრაინული კულტურის უძველეს ცივილიზაციებთან კონტაქტების დამყარებით ინტელექტუალური სუვერენიტეტის, მათთან თანასწორობის დემონსტრირებაც. აქვე ერთი კონცეფცია იკვეთება, ეს არის ე.წ. „კავკასიური ხიდის“ ფუნქცია უკრაინულ კულტურულ მენტალობაში – კავკასია იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაკავშირებელი ხიდი, რომლის გავლითაც უკრაინაში აღწევდა ცოდნა აღმოსავლეთის შესახებ (Грицик, 1999, გვ. 28-34).

ედუარდ საიდმა ნაშრომში „ორიენტალიზმი“ ჩამოაყალიბება აღმოსავლეთის (East) და ორიენტის (Orient) კონცეპტები და მის შესახებ სამეცნიერო დისკურსის სპეციფიკა. აღწერა ბინარული ოპოზიციის – ორიენტალიზმისა და ოქციდენტალიზმის ასიმეტრიული ცნებები. საიდის გახმა-

ურებულმა თეორიამ წარმოაჩინა დასავლური მეცნიერების მიერ აღმოსავლეთის აღწერის ინტელექტუალური ძალაუფლების გამოხატვის პრაქტიკები (Саид, 2016, стр. 78, 117, 118), ორიენტალიზმის თეორიამ დიდი გავლენა იქონია სამეცნიერო დისკურსზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა ერთ-ერთ პოპულარულ მიმდინარეობას – *პოსტკოლონიურ კვლევებს*. მეოცე საუკუნის დასასრულს, სიუზან ლეიტონის ნაშრომი სწორედ ედუარდ საიდის ორიენტალიზმის თეორიას დაეყრდნო და აჩვენა რუსული ორიენტალისტური დისკურსის ტიპოლოგიური სიახლოვე და მსგავსება საიდის პოსტკოლონიურ კონცეფციასთან. სიუზან ლეიტონის კვლევის მიხედვით, საქართველო რუსული ორიენტალიზმის ნაწილია. ისიც მიისწრაფვოდა ინტელექტუალური ძალაუფლებისაკენ, რაც აისახა ლეიტონის მიერ აღწერილ საქართველოს ორიენტალიზაციისა და ფემინიზაციის სპეციფიკაში (ლეიტონი, 1996). აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო, რომ რუსულ იმპერიულ ტრადიციას გავლენა მოეხდინა თავის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა ქვეყნების მეცნიერულ ტრადიციებზეც.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინულ ორიენტალისტიკას ბევრი საერთო ჰქონდა აღმოსავლეთის შესახებ როგორც ევროპულ, ისე რუსულ მეცნიერებასთან, მან მაინც შეძლო თავის წიაღში ჩამოეყალიბებინა ორიენტალიზმის ნაციონალური ტრადიცია. თანამედროვე მეცნიერებაში სამართლიანად აღიარებული მოსაზრების თანახმად (Грицик, 2021, გვ. 51-56). უკრაინულმა ორიენტალისტიკამ თავის ამოცანად დაისახა უძველეს აღმოსავლურ ძეგლებთან მსგავსებათა/საერთოობის ძიება, რათა ამ გზით კიდევ ერთხელ დამტკიცებულიყო უკრაინული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ტრადიციულობა და ეროვნულობა. ორიენტალისტიკის, როგორც სამეცნიერო და საუნივერსიტეტო დისციპლინის კვლევისას, პროფ. ლუდმილა ჰრიციკი აღნიშნავს, რომ უკრაინულ კულტურულ მენტალობაში აღმოსავლეთი, უპირველეს ყოვლისა, აღიქმებოდა **„უცხოს დრამაშიანარსიან სახედ“**. იგი სიღრმისეულად განიხილავს ამ კონცეპტის მახასიათებლებს უკრაინულ კულტურულ მენტალობასა და ტრადიციაში, გამოარჩევს მისი აღქმის მრავალფეროვანსა და განსხვავებულ ფორმებსა და კონცეპტებს. მისი დაკვირვებით აღმოსავლეთის სიმბოლური კონცეპტებია – **მგრძნობიარე, რაციონალური და მისტიკური**. რამდენადაც ნატიფია აღმოსავლეთი – წერს მკვლევარი – იმდენად რთული და არაერთგვაროვანია შინაარსითა და სამყაროს აღქმის ფორმებით. მამასადამე, აღმოსავლური სამყაროთი დაინტერესებას უკრაინულ მეცნიერებაში, ლ. ჰრიციკი აფასებს, როგორც **უცხოს კულტურული სახის განსაკუთრებულ ინტერესს**; საკუთარის აღქმას უცხოსთან კონტაქტების პრიზმაში. აღმოსავლეთის სწორედ ამგვარი გაგების – ეგზოტიკურის, უძველესი კულტურის, მისტიკურის, საკუთარისა და უცხოს ექსპლიკაციის პრიზმაში განიხილა ქართული კულტურა უკრაინულ ორიენტალისტურ ტრადიციაში, რომელშიც ლიტერატურათმცოდნეობას დიდი ადგილი უკავია.

საბჭოთა პერიოდი

საბჭოთა პერიოდი, ერთი მხრივ, უკრაინასა და საქართველოს შორის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების დამყარების „ოქროს ხანაა“, მეორე მხრივ – ლიტერატურული დიალოგის წარმოების ყველაზე დიდი ეტაპი იმპერიალიზმის სპეციფიკურ პირობებში.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან უკრაინაში ლიტერატურის შესახებ მეცნიერებამ მეცნიერულზე მეტი დატვირთვა შეიძინა, მასში ინტელექტუალური სუვერენულობის ძიებამ უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო. 1903 წლიდან წმ. ვოლოდიმირის სახელობის უნივერსიტეტში (*ახლანდელი ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი*), ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ, ვოლოდომირ პერეტცმა, გახსნა ფილოლოგიური სემინარები (თავდაპირველი სახელწოდება *„სემინარები რუსულ ფილოლოგიაში“*) რომელმაც ერთგვარი სტუდიის სახე მიიღო. მის გარშემო შემოკრებილ მსმენელთაგან მომავალში ბევრი ცნობილი ლიტერატურათმცოდნე გახდა. სემინარის მსმენელთა უმეტესობა 20-30-იანი წლების საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა.

1919 წელს დაარსდა *უკრაინის მეცნიერებათა აკადემია*, რომლის ისტორიულ-ფილოლოგიურ სკოლაში მ. ნაენკოს შეფასებით „გაბატონებული იყო „უკრაინული ლიტერატურათმცოდნეობის პლურალისტული სკოლა“ (Наєнко, 1993, стр. 19) ამ სკოლის წარმომადგენლებიც ბოლშევიკურ ტერორს ემსხვერპლნენ 30-იან წლებში. მაშასადამე, მეოცე საუკუნის დასაწყისში უკრაინაში დაწყებული ლიტერატურის კვლევის პლურალისტური მიდგომები საბჭოთა „ფანტასტიკურად ერთფეროვანმა“ (რ. პაიპსი) ლიტერატურულმა კრიტიკამ ჩაანაცვლა. თუმცა ინსტიტუციონალური და მეცნიერული ხასიათი სწორედ ამ პერიოდში შეიძინა ლიტერატურული ურთიერთობების ჯერ განსაკუთრებული ინტენსივობით ჩამოყალიბებამ, ხოლო შემდეგ კი მათ შესახებ მეცნიერულმა ანალიზმა. ლიტერატურულ-კულტურული კავშირების კვლევის მნიშვნელოვან პლატფორმად გადაიქცა 1926 წელს ხარკოველ და კიეველ სპეციალისტთაგან დაკომპლექტებული „*უკრაინის აღმოსავლეთმცოდნეთა ასოციაცია*“ და მისი ბეჭდური ორგანო „*აღმოსავლური სამყარო*“, რომელსაც მალე შეეცვალა სახელი და „*წითელი აღმოსავლეთი*“ ეწოდა. ამ გამოცემის ფურცლებზე იბეჭდებოდა კავკასიოლოგიური მასალები, ისინი უმეტესად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხებს, კავკასიის რეგიონის ისტორიას და სხვ. შეეხებოდა (Новак, 2018). ეგზოტიკური, მისტიკური აღმოსავლეთი, საბჭოთა/წითელ აღმოსავლეთად გადაიქცა, რომელსაც აქტიურად ეხმიანებოდა აღნიშნული ასოციაცია (Кочурей, 2006, сс. 54-57).

1930-იანი წლებიდან სტალინური ტერორი განსაკუთრებულად აგრესიულ ფაზაში შევიდა და მთელი სისასტიკით გამოიხატა უკრაინაში. ინტელიგენციის ასეულობით წარმოდგენელი დაკითხვების, დასმენების, ცილისწამებისა და ბოლოს, დახვრეტის მსხვერპლი გახდა. ამ პერიოდში საქართველოთი, ქართული მწერლობითა და საქართველოს ისტორიით, ცნობილი ორიენტალისტის, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერის, აგათანგელ კრიმსკის დაინტერესება მეცნიერული თვალსაზრისით ყველაზე ღირებულია. კრიმსკი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაინტერესებულა საქართველოთი. მისი ეს ინტერესი განპირობა მოსკოვში, ლაზარევსკის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, ქართველმა მასწავლებელმა – ალექსანდრე ხახანაშვილმა, რომელსაც 1912 წელს «*Этнографическое обозрение*»-ში მიუძღვნა საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა „**ა.ს. ხახანოვი (1864-1912)**“, წერილში იგი განიხილავს თავისი გარდაცვლილი მასწავლებლის განვლილ გზას მეცნიერებაში (Кримський, 1968). მიმოხილვითი ხასიათის ამ ნაშრომში უკვე კარგად ჩანს კრიმსკის ცოდნა საქართველოს შესახებ.

ავსახებს რა უკრაინელი მეცნიერის მეთოდოლოგიას თანამედროვე მკვლევარი, სოლომია პავლიჩკო, თავის საკულტო ნაშრომში „**ნაციონალიზმი, ორიენტალიზმი, სექსუალურობა: აგათანგელ კრიმსკის რთული სამყაროს ნაწილები**“ წერს:

„კრიმსკი პოლიგლოტთან ერთად არაერთი სამეცნიერო დისციპლინის ექსპერტიც იყო... ქრონოლოგიურად მისი სამეცნიერო ინტერესების უპირველესი დარგი არაბისტიკა იყო (არაბული ენა და ლიტერატურა, რელიგია), შემდეგ დაემატა – სპარსული და თურქული ენა და ლიტერატურა. კრიმსკის ინტერესებში შედიოდა ასევე სემიტური ენები, ისლამის ისტორია – ყურანი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობით ფილოლოგი იყო, იგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფილოლოგიით, მისი ნაშრომების უმეტესობა იწყებოდა სიტყვით „ისტორია“, თუმცა მხოლოდ ისტორიკოსიც არ ყოფილა, განსაკუთრებულად ავსახებდა და მუშაობდა წყაროებზე“ (Павличко, 2016, გვ. 192-194).

წლების განმავლობაში ცილისწამებისა და დაკითხვების, დევნის, შეურაცხყოფის შემდგომ დიდი მეცნიერი 1941 წელს გარდაიცვალა. მედიევისტიკა და ორიენტალისტიკა უკრაინაში არა-აქტუალურ მეცნიერებად მიიჩნეოდა, აღარ იბეჭდებოდა კრიმსკის ნაშრომები, ფაქტობრივად გაქრა მისი სახელი უკრაინული მეცნიერებიდან. 1957 წლის რეაბლიტაციის შემდგომ შედარებით მოეხსნა ტაბუ. 60-იან წლებში დაიწყო ორიენტალისტიკის გამოცოცხლება და ფრაგმენტულად ჩნდებოდა მისი ნაშრომებიც.

60-იანი წლების ბოლოდან აგათანგელ კრიმსკის სახელმაც გაიელვა უკრაინულ-ქართული ურთიერთობებისადმი მიძღვნილ კვლევებში (Сардін, 1968, გვ. 241-253).. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამ თემას 1980-იან წლებში ალექსანდრე მუშკუდიანი. კრიმსკის პირადი არქივის დიდი ნაწილის შესწავლის საფუძველზე გამოავლინა, რომ უკრაინელი მეცნიერი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებიდან დაინტერესებულა ქართველოლოგიური პრობლემებით – ქართული ისტორიოგრაფიით, წყაროთმცოდნეობით (Мушкудіані, 1986). უკრაინელი ორიენტალისტის მეცნიერულ ინტერესებში მოექცა ქართული საისტორიო მწერლობა („ქართლის ცხოვრება“), ძველი ქართული ლიტერატურა – „აბო თბილელის წამება“, „მოქცევა ქართლისა“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და სხვ.

კლასიკოსების კულტი და ლიტერატურული წყვილები

მ. ლეკემ ლ. გუდკოვმა და სხვ. მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ „საბჭოთა ლიტერატურა და მის შესახებ მეცნიერება საგანგებოდ კანონიკური და კლასიკოსებზე ორიენტირებული იყო“ (Лекке, 2018, გვ. 37). *კლასიკოსების კულტი*, რომელზეც ეს მეცნიერები წერენ, ამ პერიოდის საქართველოსა და უკრაინას შორის ლიტერატურულ ურთიერთობათა სპეციფიკური მარკერიცაა. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს „ვეფხისტყაოსნის“ მიკოლა ბაჟანისეული უკრაინული თარგმანი, რომელზე მუშაობაც ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა და ერთგვარ ეპოპედ ჩამოყალიბდა. კლასიკოსების კულტითაა ნაკარნახევი ასევე ბაჟანისეული თარგმანი დავით გურამიშვილის პოეზიისა, ბაჟანის მიერ შედგენილი ქართული პოეზიის ანთოლოგიები და სხვ. სერგეი რუმინანცევი, შუასაუკუნეების პოეტების ჰეროიზაციის საბჭოთა პოლიტიკის შესახებ აღნიშნა: „ისტორიული მატერიალიზმის სისწორის დასამტკიცებლად, ხდებოდა ინტერპრეტირება და ინსტრუმენტალიზება მათი, როგორც სოციალისტური აზროვნების ზეეროვნული წარმომადგენლებისა“ (რუმინანცევი, 2017, გვ. 89). ეს მოსაზრება კლასიკოსების კულტსაც მიესადაგება, რადგან მათი უმეტესობა შუა საუკუნეების ავტორები იყვნენ და ცალსახაა მათი სახის ინსტრუმენტალიზების საბჭოთა პრაქტიკაც. თუმცა, უკრაინის შემთხვევაში შუა საუკუნეების ქართული მწერლობით დაინტერესება და მისი თარგმნა ერთგვარი ბერკეტი აღმოჩნდება სტალინური რეპრესიებისაგან თავის დასახსნელად. კლასიკოსებს ბელადის კულტიც შეიძლება დაემატოს.

მირია ლეკე თავის მიერ აღწერილი *კლასიკოსების კულტის* ფარგლებში გამოყოფს აგრეთვე *წყვილების სტრუქტურას*. ლიტერატურული წყვილების სტრუქტურა ქართულ-უკრაინულ კონტექსტშიც მეტად შთამბეჭდავია. ამას ისტორიული საფუძვლებიც ჰქონდა, რასაც ნამდვილად იყენებდნენ „ისტორიული მატერიალიზმის სისწორის“ დასამტკიცებლად.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უკრაინაში ამ ქვეყნების ურთიერთობების ლიტერატურული ისტორიის ამსახველი ორი მიმართულება გამოიკვეთა, ეს იყო თავისებური კულტურული ბარტერი – *დავით გურამიშვილი და უკრაინა; ლესია უკრაინკა და საქართველო*. ომის შემდეგ გამოიცა საბჭოთა უკრაინელი ლიტერატურათმცოდნის, დმიტრო კოსარიკის, ნაშრომი „დავით გურამიშვილი უკრაინაში“.¹

ამ ნაშრომს წინ უძღოდა სტალინის რეპრესიებისაგან გადარჩენის მცდელობები, რისი გამოხატულებაც უნდა ყოფილიყო 30-იან წლებში ქართული მწერლობით დაინტერესება. ამის მაგალითია „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული ლიტერატურის მიკოლა ბაჟანისეული თარგმანები. აგრესიული ტოტალიტარული დისკურსის პირობებში თარგმანი ერთგვარ ალტერნატიულ დისკურსად, თავშესაფრად, იდეოლოგიური წნეხისაგან გაქცევისა და შემოქმედებით ოაზისადაც ყალიბდებოდა. თანამედროვე კრიტიკაში დაუფარავად წერენ, რომ მიკოლა ბაჟანისთვის, რომლის წინააღმდეგაც 30-იან წლებში კომუნისტები საქმეს ჩარხავდნენ, საქართველო „პოლიტიკურ თავშესაფრად“ იქცა (Панченко, 2019, გვ. 226-227). ქართული ლიტერატურის თარგმნისთვის ბაჟანი დაჯილდოვდა

¹ ლევან ასათიანის მიერ შესრულებული წიგნის ქართული თარგმანი 1949 წელს გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“.

საბჭოთა უმაღლესი ჯილდოებით, დაბოლოს, იგი რეპრესიებს ცოცხალი გადაურჩა. მაშასადამე, 30-იანი წლებიდან დაიწყო ქართული მწერლობისადმი ბაჟანის განსაკუთრებული დაინტერესება, იგი უკრაინაში ქართული კულტურის *მეურვე* გახდა (პრიციკი, 2022, გვ. 119-129). მომავალში განსაკუთრებულ ლიტერატურულ წყვილს შექმნიან ყოფილი ფუტურისტები – *მიკოლა ბაჟანი* და *სიმონ ჩიქოვანი*. პოეტების მეგობრობის შედეგად ორივე ქვეყნის ისტორიას ნაყოფიერი ლიტერატურულ-კულტურული დიალოგი შემორჩა, ამის მაგალითია თარგმნილი და მიძღვნილი ხასიათის ორიგინალური ნაწარმოებები, ურთიერთთარგმანები და ა.შ. ამ კულტურული დიალოგის ამსახველი მასალების უმეტესობა თავმოყრილია 2004 წელს, კლუბ „უკრაინას“ მიერ გამოცემულ ბილინგვურ კრებულში „*მიკოლა ბაჟანი – წყარო*“, სხვადასხვა დროს საქართველოსა და უკრაინაში გამოცემული არაერთი ანთოლოგია და კრებული.

როგორც აღვნიშნე, საქართველოსა და უკრაინის კულტურულ-ისტორიულ დიალოგში განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ლიტერატურულმა წყვილმა – *დავით გურამიშვილი-ლესია უკრაინკა*. დმიტრო კოსარიკი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ დავით გურამიშვილის შესახებ კვლევა-ძიება მას სწორედ მიკოლა ბაჟანის ინიციატივით დაევალა, როდესაც „მთელმა საბჭოთა ქვეყანამ“ იზეიმა რუსთველის იუბილე. სწორედ ამ იუბილეს ფარგლებში დაიბადა იდეა, უკრაინის საბჭოთა მწერლებს მოეძიებინათ მასალები დავით გურამიშვილის შესახებ. დიდი კვლევა-ძიების შედეგად შეიქმნა სწორედ ეს მნიშვნელოვანი წიგნი „დავით გურამიშვილი უკრაინაში“ რომელშიც სუსხიანი სოცრეალიზმის კონიუნქტურის მიუხედავად, მართლაც უნიკალური საარქივო მასალა და ინფორმაცია თავმოყრილი.

სერჰი ეკელჩიკმა, ომის შემდგომი კულტურის, იმპერიალიზმისა და მეხსიერების პოლიტიკის ანალიზის შედეგად აღნიშნა, რომ ამ პერიოდში გააქტიურებულ ისტორიული წარსულის რეპრეზენტაციასა და მისი „იდეალიზაციას“, წინ უნდა წამოეწია, ლეგიტიმური გაეხადა, უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობის ღრმა ისტორიული ფესვები. სწორედ ამას ემსახურებოდა უკრაინის რუსეთთან შეერთების ამსახველი ისტორიული რომანების შექმნა ომის შემდგომ წლებში. მათ დიალექტიკურ პროცესად წარმოადგინეს ეს ისტორიული ფაქტი. ეს ტენდენცია განაზოგადა სერჰი ეკელჩიკმა „მეხსიერების იმპერიული პროექტად“ (Скельчик.С., 2008, გვ. 221-224). ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ კოსარიკის აღნიშნული ნაშრომიც სწორედ ამ ზოგადსაბჭოთა პათოსითაა გამსჭვალული, მასში ხაზგასმულია საბჭოთა ხალხთა მეგობრობაში რუსეთის/იმპერიის პოზიტიური როლი და დამსახურება, ეს ნარატივიც თავისი შინაარსით აღნიშნულ „მეხსიერების იმპერიულ პროექტს“ შეესაბამება (კოსარიკი, 1949, გვ. 20-23). კომემორაციული თვალსაზრისით დავით გურამიშვილის სახელი სიმბოლური აღიარების უმაღლეს ფორმებში გამოიხატა – უკრაინაში არსებობს მისი სახელობის ქუჩა, სკულპტურა, სახლ-მუზეუმი მირგოროდში და ა.შ.

მეთოდოლოგიურად და აგებულების მიხედვით დმიტრო კოსარიკის ნაშრომის მსგავსია საბჭოთა უკრაინელი ლიტერატურათმცოდნის, ოლეგ ბაბიშკინის, 1953 წელს გამოცემული წიგნისა „*ლესია უკრაინკა საქართველოში*“ (1957 წელს საქართველოშიც გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“), წიგნში ლესია უკრაინკას შემოქმედების ისტორიულ-ლიტერატურულ ანალიზთან ერთად ცალკე ბლოკებად გამოიყო უკრაინელი პოეტი ქალის მოღვაწეობის თბილისური, თელავური, ქუთაისისა და ხონში ცხოვრების პერიოდები, ლესია უკრაინკას სახის კომემორაცია საბჭოთა საქართველოში, რომელმაც სიმბოლური სახე მიიღო და მანაც ასევე მიაღწია აღიარების უმაღლეს ფორმებს: „ლესია უკრაინკას სახელი უკრაინელი და ქართველი ხალხის შეურყეველი მეგობრობის სიმბოლოდ იქცა“ – წერს დასკვნაში უკრაინელი ავტორი (ბაბიშკინი, 1957, გვ. 124). ლესია უკრაინკა და საქართველო – იქცა ხალხთა მეგობრობისა და რევერენსების ურთიერთგაცვლის სიმბოლოდ, რამაც ერთი მხრივ, ხელი შეუწყო მის პოპულარიზაციას, მეორე მხრივ – მეცნიერული თვალსაზრისით დააზარალა კიდევ, რადგან ამ ნაშრომებმა სათანადოდ ვერ წარმოადგინეს მისი შემოქმედება, მის შესახებ შექმნილი ნაშრომების უმეტესობა იდეოლოგიური კონტექსტითაა დადღასმული. ლესია უკრაინკას შემოქმედების წაკითხვა მსოფლიო ლიტერატურისა და თანამედროვე თეორიულ მიდგომათა კონტექსტში, მხოლოდ საწყის ეტაპზეა საქართველოში.

„საბჭოთა ERASMUS“ – ორმაგი არტიკულაცია პერიფერიულ კულტურებში

ერთგვარი ოქსიმორონი – *საბჭოთა ERASMUS* – შეიძლება ეწოდოს მეოცე საუკუნის სამოციან წლებში განხორციელებულ მეტად პროდუქტიულ პროექტს. ეს იყო სსრკ რესპუბლიკების უნივერსიტეტებს შორის სტუდენტების გაცვლა ერთმანეთის ენების, კულტურების შესწავლისა და კადრების მომზადების მიზნით. ეს პროექტი დაიწყო კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის განხორციელებული გაცვლით (1964 წ.). იდეა „თავისი განხორციელების ფორმითაც სიახლე იყო უნივერსიტეტების ურთიერთობაში და შინაარსიც სრულიად ახალი იყო მასში ჩადებული“ – წერს აღნიშნული იდეის ავტორი და ორგანიზატორი, პროფესორი ოთარ ბაქანიძე (ბაქანიძე, 2015, გვ. 195). პროექტის შედეგად ჩამოყალიბებულმა კადრებმა ფაქტობრივად სათავე დაუდო უკრაინაში ქართველოლოგიის, როგორც სასწავლო და სამეცნიერო დარგის, აკადემიურ/საუნივერსიტეტო ტრადიციას.

აღნიშნული პროექტის ყველაზე წარმატებულმა მონაწილეებმა – გრიგორი ხალიმონენკომ, ალექსანდრე მუშკუდიანმა და ლუდმილა ჰრიციკმა სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან შექმნეს უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის სრულიად ახალი, აკადემიური ეტაპი. მან აირეკლა ბელა წიფურიას მიერ აღწერილი ტოტალიტარული კულტურისთვის დამახასიათებელი ე.წ. *ორმაგი არტიკულაცია*: „ნაციონალური შინაარსის მოდელები განვითარდნენ საბჭოური მოდელების საფარქვეშ, მათი რეპროდუცირებისა და ტრანსფორმაციის პროცესში [...] ტოტალიტარული მოდელები ნაციონალური შინაარსით დაიტვირთა“ (წიფურია, 201, გვ. 180).. ტოტალიტარულ საფარქვეშ განვითარებულ ნაციონალურ მოდელებად შეიძლება გავიაზროთ აღნიშნული პროექტის შედეგად ჩამოყალიბებული სამეცნიერო დისკურსი. საბჭოთა ლიტერატურულ დისკურსში „მშობის ჰეგემონიის“ პირობებში განსხვავებული კულტურული იდენტობების აღიარება და პატივისცემა არც თუ მარტივი და უმნიშვნელო ამბავი იყო. *ორმაგი არტიკულაციის* მოხერხებული მექანიზმით უკრაინულ მეცნიერებაში ცალსახად ვლინდებოდა ქართული კულტურული იდენტობის პატივისცემა. უკრაინულ-ქართული დიალოგი ახერხებდა მარგინალური პოზიციების გადალახვასა და თანასწორობა დიალოგად ფორმირებას. ყველაზე შედეგიანად ეს მაშინ განხორციელდა, როცა შედარებით ნეიტრალურმა მეცნიერებამ, თარგმანმცოდნეობამ, მოიპოვა დომინანტური პოზიცია ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კურსის დასრულების შემდეგ გ. ხალიმონენკომ უკრაინაში განაგრძო მთარგმნელობითი და მეცნიერული, ხოლო ლუდმილა ჰრიციკმა მთარგმნელობითთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობაც. ჰრიციკის ინტერესებში მოექცა ქართული პროზის თარგმნისა და ამ პროცესის მეცნიერული ანალიზი. სწორედ ამას მიემდვნა მისი საკანდიდატო დისერტაცია *„ქართული მხატვრული პროზა თანამედროვე უკრაინულ თარგმანებში“* (1973 წ.). დიდი რაოდენობის უცნობი ფაქტობრივი მასალა შეაგროვა, დაამუშავა და გამოიკვლია საქართველოდან უკრაინაში წარგზავნილმა აღნიშნული გაცვლითი პროექტის მონაწილემ, ალექსანდრე მუშკუდიანმა, რომელმაც თავისი მეცნიერული საქმიანობის გასაგრძელებლად უკრაინაში დარჩა. მისი კვლევის ძირითადი შედეგები, დიდძალი უცნობი საარქივო მასალა და მხატვრული თარგმანების შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი საბოლოოდ 1986 წელს, ქ. კიევში *„XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია“* მონოგრაფიაში შეჯამდა. ქართულ-უკრაინული მხატვრული თარგმანის მეცნიერული ანალიზის პრობლემებს უკრაინაში ათეულობით ნაშრომი მიუძღვნა პოეტმა, მთარგმნელმა, მეცნიერმა, რაულ ჩილაჩავამ, რომლის მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და მრავალწლიანი მოღვაწეობა უნიკალური შემთხვევა თანამედროვე კულტურული დიალოგის ისტორიაში. რაულ ჩილაჩავას მოღვაწეობის შესახებ ფართომასშტაბიანი კვლევები მომავლის პერსპექტივაა.

ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევებში აღწერითი ხასიათის ფაქტოგრაფიულმა მიდგომამ – წყაროებისა და მასალების შეგროვებამ და მათმა ინტერპრეტაციამ უკრაინულ-ქართული ვექტორი საბჭოთა მეცნიერებაში გაბატონებულ შედარებით-ისტორიული ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს მიუახლოვა. აღიარებულია, რომ ასეთი კვლევები ლიტერატურის ისტორიის ნაწილად განიხილებოდა და ნაკლები კავშირი ჰქონდა თეორიასთან, რაც ი. გორსკის აზრით (Горский, 2006, გვ. 104-105) საბჭოთა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ზოგადი მახასიათებელია. ამ პერიოდის მეცნიერულ დისკურსში თეორიული ბაზის სიმწირის გამო ურთიერთობების ამსახველი ნაშრომები ლიტერატურის ისტორიის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ.

საბჭოთა შედარებით-ისტორიული ლიტერატურათმცოდნეობის გამორჩეულ ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს ანთოლოგია „ცისარტყელას ხიდებით: უკრაინულ-ქართული ლიტერატურული კავშირები“ (კიევი, 1986 წ. შემდგენელი ოლექსა ნოვიცკი). ანთოლოგიაში უხვადაა კომპლემენტები საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი როლის შესახებ ქვეყნებს შორის ურთიერთობების განმტკიცების საქმეში. ლაიტმოტივად გასდევს ერებს შორის ჰარმონიული ურთიერთობების მეტაფორები, საუკუნეებით გამოზრდილი მეგობრობის ამსახველი ფაქტები, მასალები, ტექსტები, წყაროები და ა.შ. წიგნში შეგროვებული და სისტემატიზირებულია უნიკალური საარქივო წყაროები და ის მასალები, რომელთა გარეშე თანამედროვე კვლევების წარმოებაც კი გართულდებოდა. ამ კრებულმა აირეკლა *საბჭოთა დიქტომიურობა* „საბჭოური მოდელების საფარქვეშ განვითარებული ნაციონალური მოდელი“ (ბ. წიფურია) შეიძლება ეწოდოს.

ორიენტალისტიკიდან ლიტერატურული კომპარატივისტიკისკენ: შემოტრიალება თეორიის სასარგებლოდ

პოსტსაბჭოთა პერიოდში ლიტერატურული კვლევებში მეთოდოლოგიური და თეორიული პლურალიზმის დანერგვამ, შედარებით-ისტორიული ნაშრომების აქტუალურობა ჩრდილში მოაქცია – კონტაქტური კავშირების კვლევა ვეღარ აკმაყოფილებდა ლიტერატურათმცოდნეობის ახალ მოთხოვნებს. გაჩნდა თეორიული ანალიზისა და ტრანსნაციონალური კვლევების დანერგვის აუცილებლობა. ამიტომაც უკრაინულ მეცნიერებაში უკრაინულ-ქართული ურთიერთობებისა და ურთიერთმმართველების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა ლიტერატურული კომპარატივისტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. „თეორიისკენ შემოტრიალება“ უკრაინელი ქართველოლოგისა და აღმოსავლეთმცოდნის, ლუდმილა ჰრიცივის, პოსტსაბჭოთა პერიოდის ნაშრომებით განხორციელდა. მან მოიცვა უცნობი, უახლესი და საბჭოთა პერიოდში აკრძალული მასალები უკრაინული ემიგრაციის არქივებიდან, ქართული ლიტერატურის სრულიად უცნობი თარგმანების ანალიზი და საქართველოზე შექმნილი ასევე უცნობი ნაწარმოებები ევროპაში დაბეჭდილი ანტისაბჭოთა ემიგრანტული გამოცემებიდან. ეს ემპირიული მასალები გაანალიზდა ინტერდისციპლინურ კვლევათა – კულტურული ანთროპოლოგიის (*საკუთარი და უცხო, მე და სხვა*), ტრანსლატოლოგიისა და კულტურის კვლევათა, (*cultural studies*) თეორიულ კონტექსტში. ათწლეულების განმავლობაში დაუღალავი კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული ქართულ-უკრაინული კულტურული დიალოგის ამსახველი ეს უცნობი ფაქტები წარმოდგენილია მის ორ, და მართლაც საეტაპო მნიშვნელობის, მონოგრაფიებში, „*უკრაინული კომპარატივისტიკა. კონცეპტუალური პროექციები*“ (დონეცი, 2010) და „*ორიენტალისტიკური დისკურსი XIX-XX საუკუნეების უკრაინულ ლიტერატურაში: განვითარების პარადიგმები, აქცენტები*“ (ხარკივი, 2021).

აქტუალურობიდან გამომდინარე, მონოგრაფიების გამოცემას დიდი რეზონანსი მოჰყვა უკრაინულ მეცნიერთა წრეებში. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის უკრაინელმა მკვლევარმა, მიკოლა ილნიცკიმ, ჰრიცივის კომპარატივისტულ კვლევათა მეთოდოლოგიური სპეციფიკის შესახებ რეცენზიაში აღნიშნა, რომ უკრაინულ-ქართული ურთიერთობებსადმი მიძღვნილი ნაშრომების „თეორიულ დომინანტას არ შეუსუსტებია კომპარატივისტიკის კავშირი ლიტერატურის ისტორი-

ასთან, რომლის კვლევის ობიექტიცაა მხატვრული ტექსტი, როგორც იმანენტური ერთეული...“ ილნიცკისვე დაკვირვებით, ლ. ჰრიციკის ნაშრომებში ტრადიციული ფრანგულისა და ამერიკული სკოლების დაპირისპირება კი არაა დემონსტრირებული, არამედ სახეზეა დმიტრო ნალივაიკოს პოზიციის მიმდევრობა, რომლის მიხედვითაც კომპარატივისტიკაში ლიტერატურის ისტორია და თეორია მომიჯნავე პოზიციებს იკავებენ და აღიქმებიან არა ურთიერთდაპირისპირებულ, არამედ ერთი მედლის ორ მხარედ“ (Льницький, 2010, გვ. 98-99), მაშასადამე, უკრაინულ-ქართული ლიტერატურული წყვილი თანამედროვე მეცნიერებაში მართლზომიერად ახორციელებს თეორიისა და ისტორიის სინთეზს, ამავედროულად დიდ როლს ასრულებს ლიტერატურული კომპარატივისტიკის ნაციონალური ტრადიციის შექმნაში. ოცდამეერთე საუკუნის უკრაინულ ქართველოლოგიას, რომელიც კვლავ ლიტერატურული კავშირების კვლევას გულისხმობს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება *ლუდმილა ჰრიციკის სკოლა* ეწოდოს.

უკრაინულ მეცნიერებაში ქართული ლიტერატურის კვლევის გვირგვინია 2020 წელს კიევში გამოცემული, უნიკალურად შეფასებული ვრცელი ნაშრომი *„ქართული ლიტერატურის ისტორია“*. მისი ავტორია უკრაინელი ქართველოლოგი გრიც ხალიმონენკო, ცნობილი გაცვლითი პროექტის ერთ-ერთი წარმატებული მონაწილეთაგანი. წინასიტყვაობაში უკრაინელმა მეცნიერმა ასე აღწერა თავისი ტიტანური შრომა:

„ეს ყველაფერი ათწლეულების მანძილზე შთააგონებდა წინამდებარე „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ავტორს ბოლოსდაბოლოს დაემთავრებინა ეს ნაშრომი. მე ხომ მას ვწერდი ქართველი ერის დედაქალაქში სწავლის დროს გატარებული ბედნიერი წლებისადმი სიყვარულითა და მადლიერებით. და კიდევ: მადლიერებისა და სიყვარულის გარდა საკუთარ მოვალეობად ვთვლიდი გამომეხატა აღტაცება ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურით, რომელიც მსოფლიო კულტურის საგანძურში შეიტანა არც თუ ისე მრავალრიცხოვანმა ქართველმა ერმა“ (Халимоненко, 2020, გვ. 12).

ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ ხალიმონენკოს ეს ნაშრომი მართლაც უპრეცედენტოდ შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ უკრაინულ, არამედ, ზოგადად, საზღვარგარეთულ ლიტერატურათმცოდნეობით ქართველოლოგიაში. ნაშრომში რამდენიმე ათეულწლიანი შრომა შეჯამდა – განხილულია ქართული მწერლობის სრული ისტორია უძველესი პერიოდიდან თანამედროვე ეტაპის ჩათვლით. კვლევის ტრადიციული ხასიათის მიუხედავად, ქართული მწერლობა გაანალიზებულია მრავალწახნაგოვან პერსპექტივაშიც. წიგნში გამოკვეთილია ნაციონალურისა და უნივერსალური/მსოფლიო ლიტერატურული კანონის სინქრონული და დიაქრონული მიმართებები, ამავედროულად დაძებნილია ქართული მწერლობის უკრაინულთან კულტურული გადაკვეთებისა და სიახლოვის არაერთი შემთხვევა.

ერთ-ერთ ინოვაციურ მიდგომად პოსტსაბჭოთა პერიოდის სამეცნიერო დისკურსში პოსტკოლონიური თეორია გამოიკვეთა. პოსტკოლონიურმა კვლევებმა უკრაინაში მრავალწლიანი დისკუსიის შედეგად საბოლოოდ დაიმკვიდრა ლეგიტიმური ადგილი. დიასპორულ მეცნიერებაში დაწყებული ტალღა უკრაინაში წარმატებით გაგრძელდა და დღეს ამ თეორიას მრავალი მიმდევარი ჰყავს. პოსტკოლონიურმა კრიტიკამ გაიელვა უკრაინულ-ქართულ კონტექსტშიც – ლესია უკრაინკას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ცნობილი ლიტერატურათმცოდნის, თამარა ჰუნდოროვას, მონოგრაფიაში *„სიბილათა წიგნი. ლესია უკრაინკა“* (ხარკივი, 2023). მკვლევარი თავის ნაშრომში ლესია უკრაინკას შემოქმედებას აანალიზებს მოდერნიზმის, ფსიქოანალიზის და მრავალ სხვა თეორიულ კონტექსტში; ხოლო საქართველოში ცხოვრების პერიოდზე მსჯელობისას აღნიშნავს – უცხო/სხვის ეგზოტიზაციისა და ორიენტალიზაციის სპეციფიკას, რომელიც არაა მთლად ტიპური ორიენტალიზმის მსგავსი. მეცნიერის აზრით, ლესია უკრაინკას მოდერნისტული სამყაროს ორიენტალისტური ელფერის შესაქმნელად და ეგზოტიზაციის მისაღწევად ეხმარება „ტურისტული ხედვა“. მის შემოქმედებაში გამოჰყოფს ეგვიპტური ორიენტის განსხვავებულ მარკერებს, რომელსაც არ

იმეორებს საქართველოს აღწერის (*ეპისტოლურ მემკვიდრეობაში*) ორიენტალურ პარადიგმებში (Гундорова, 2023, გვ. 76, 78, 79, 81). .

ამრიგად, პოსტკოლონიური კვლევები, რომელიც უკრაინულ-ქართულ კონტექსტში ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაში იმყოფება, ლიტერატურულ ურთიერთობათა ანალიზის ახალ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს აყალიბებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კოსარიკი, დ. (1949). დავით გურამიშვილი უკრაინაში. თარგმანი ლევან ასათიანისა. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.
- ლეიტონი, ს. (1996). ეროსი და იმპერია რუსულ ლიტერატურაში საქართველოს შესახებ. ინგლისურდან თარგმნა ზურდან გემაზაშვილმა. საუნჯე, 1-2, (310-320). თბილისი.
- რუმინცევი, ს. (2017). საზეიმო ღონისძიებები ხალხისათვის. ტრანსნაციონალური მეხსიერება სამხრეთ კავკასიაში. საზღვრებს მიღმა. კონფლიქტი და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში (89-124). თბილისი: შპს "სეზანი".
- წიფურია, ბ. (2010). ტოტალიტარული და ნაციონალური მოდელები, როგორც ბინარული ოპოზიციები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მეოცე საუკუნის გამოცდილება“, მასალები 78-183). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ხინთიბიძე, ე. (2003). ევროპაში ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორიისათვის. ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში. ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით (17-60).-ში თბილისი: „ქართველოლოგი“, ქართველოლოგიური სკოლის ფონდი.
- ჰრიციკი, ლ. (2021-2022). უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების უცნობი მასალები: ბორის ტენის გზა ჩახუხადის „თამარიანამდე“. ქართველოლოგი, 29, 119-130.
- Грицик, Л. (2021). Літературознавчі аспекти університетської орієнталістики: об'єктивна структура і суб'єктивна реструктура сходу. Орієнтальний дискурс в українській літературі XIX-XX століття: парадигми розвитку, акценти (51-56).-ში Харків: Видавництво І.С.Іванченка.
- Грицик, Л. (2013). Украинская рецепция "Витязя в тигровой шкуре" Руставели: между Н.Гулаком и А. Лотоцким. სჯანი, 3, 126-135.
- Грицик, Л. (2010). Українська компаративістика: концептуальні проєкції. Донецьк: Юго-Восток
- Грицик, Л. (1999). Проблема "кавказского моста" в украинской компаративистике конца XIX – начала XX вв. . Caucasica. The Journal of Caucasian Studies, Volume 3, 28-34.
- Гундорова, Т. (2023). Леся Українка. Книги Сивілли. . Харків: VIVAT.
- Екельчик, С. (2011). Человеческое тело и национальная мифология: некоторые мотивы украинского национального возрождения XIX века. Изобретение империи: языки и практики (119-152). Москва: Новое изательство.
- Екельчик, С. (2008). Імперія пам'яті. Російсько-українські стосунки в радянський історичні уяві. Київ: Видавництво "Часопис "Критика".
- Ільницький, М. (2010). Український вимір компаративістики. Слово і Час, 11, 98-101.
- Кримський, А. (1968). О.С. ХАХАНОВ (1864-1912) . Райдужними мостами. Українсько-грузинські літературні зв'язки (196-210). Київ: Видавництво художньої літератури "Дніпро".
- Лекке, М. (2018). Русско-грузинские литературные связи и наука о них в социальном контексте. Россия-Грузия после империи. Сборник статей (31-55). Москва: Новое литературное обозрение .
- Мушкудіані, О. (1986). З історії українсько-грузинських літературно-культурних взаємин XIX – початку XX ст. . Київ: Наукова думка.
- Наєнко, М. (1993). Наука і кон'юнктура. Українське літературознавство 1917-1992 років. Київ: ПБМП "Фотовідеосервіс".
- Новак, Б. (2018). Дослідження Кавказу на сторінках видання "Східний світ/Червоний схід" (1927–1931 pp.). Наукові записки Національного університету «Острозька академія», серія «Історичні науки», 27 .<https://histj.oa.edu.ua/about> (227-231). Острог.

- Павличко, С. (2016). Націоналізм, сексуальність, орієнталізм. Складний світ Агатангела Кримського. Київ: Видавництво "Основи".
- Панченко, В. (2019). Микола Бажан. Панцир для Гамлета. Дороги і роздоріжжя Миколи Бажана. Літературний ландшафт України. ХХ століття. 50 "слайдів" (222-231).-до Київ: Видавництво "Ярославів Вал".
- Саид, Э. (2016). Ориентализм. Западные концепции Востока. Перевод с английского А.В. Говорунова. Санкт-Петербург: "Русский Мир".
- Сарбей, В. (1968). Академік А.Ю. Кримський і Грузія. Райдужними мостами. Українсько-грузинський літературні зв'язки (241-253). Київ: Видавництво художньої літератури "Дніпро".
- Халимоненко, Г. (2020). Історія грузинської літератури. Київ: "Талком".
- Эткинд, А. (2016). Внутренняя колонизация. Имперский опыт России. Авториз. пер. с англ. В. Макарова. Москва: Новое Литературное Обозрение.

Reference:

- Ekelchik, S. (2011). Chelovechkskoye telo i natsional'naya mifologiya: nekotoryye motivy ukrainskogo natsional'nogo vrozozhdeniya XIX veka. Izobreteniyе imperii:yazyki i praktiki (str. 119-152) [The Human Body and National Mythology: Some Motifs of the Ukrainian National Revival of the 19th Century. The Invention of Empire: Languages and Practices]. Moscow: New Publishing House.
- Etkind, A. (2016). Vnutrennyaya kolonizatsiya. Imperskiy opyt Rosii. Avtoriz. per. s angl. V. Makarova. [Internal Colonization. Russia's Imperial Experience. Authorized translation from English by V. Makarov] Moskva: Novoye Literaturnoye Obozreniye
- Gritsik, L. (1999) Problema "kavkazskogo mosta" v ukrainskoy komparativistike kontsa XIX – nachala XX vv [The Problem of the "Caucasian Bridge" in Ukrainian Comparative Studies of the Late 19th – Early 20th Centuries]. Caucasia. The Journal of Caucasian Studies, Volume 3 , 28-34.
- Gritsik, L. (2013). Ukrainskaya retseptsiya "Vityaza v tigrovoy shchkure" Rustaveli: mezhdru N.Gulakom i A. Lototskim. [Ukrainian Reception of "The Knight in the Panther's Skin" by Shota Rustaveli: among N.Gulak and A. Lototsky] Sjani, 2013, pp. 126-135
- Hrytsky, L. (2010) Ukrayins'ka komparatyvistyka: kontseptual'ni proektsiyi. [Ukrainian comparative studies: conceptual projections] Donets'k: Yuho-Vostok
- Hrytsky, L. (2021). Literaturoznachchi aspekty universytet's'koyi oriyentalistyky: ob'yektyvna struktura i sub'yektyvna restruktura skhodu . Oriyental'nyy dyskurs v ukrayins'kiy literaturi KHIKH-KHKH stolittya: paradyhmy rozvytku, aktsenty [Literary aspects of university Oriental studies: objective structure and subjective restructuring of the East. Oriental discourse in Ukrainian literature of the 19th-20th centuries: development paradigms, accents (pp. 51-56).] Kharkiv: I.S. Ivanchenko Publishing House
- Hrytsky, L. (2022). uk'rainul-kartuli lit'eraturuli urtiertobebis utsnobi masalebi:boris t'enis gza chakhrukhadzis "tamarianamde" [Unknown Archival Materials on Ukrainian-Georgian Literatry Contacts: The Way of Borys Ten to Chakhrukhadze] The Kartvelologist. Journal of Georgian Studies, #29, p. 119-131
- Hundorova, T. (2023). Lesya Ukrayinka. Knyhy Syvilly [Lesya Ukrainka. Sibylline book]. . Kharkiv: VIVAT.
- Il'nyts'kyu, M. (2010). Ukrayins'kyu vymir komparatyvistyky [The Ukrainian dimension of comparativistics]. Slovo I Chas, #11, pp. 98-101
- Khalymonenko, H. Istoriya hruzyns'koyi literatury. [History of Georgian Literature] Kyiv: "Talkom".
- Khintibidze, E. (2003). Evrop'ashi kartuli lit'eraturis shests'avlis ist'oriisatvis. Kartuli lit'eraturura evrop'ul metsnierebashi. Elguja Khintibidzis redaktsiit (17-60). [For the history of the study of Georgian literature in Europe. (pp. 17-60). Georgian Literature in European Scholarship. Edited by Elguja Khintibidze] tbilisi: "kartvelologi" kartvelologiuri sk'olis pondi.
- K'osarik'i, D. (1949). Davit Guramishvili uk'rainashi. Targmani Levan Aasatianisa. [David Guramishvili in Ukraine. translation by Levan Asatiani]. Tbilisi: "sabch'ota mts'erali".
- Kryms'kyu, A. (1968). O.S. KHA KHANOV (1864-1912) . Rayduzhnymy mostamy. Ukrayins'ko-hruzyns'ki literaturni zv'yazky (gv. 196-210). [O.S. Khakhanov (1864-1912). Rainbow bridges. Ukrainian-Georgian literary connections (pp. 196-210)] Kyiv: Vydavnytstvo khudozhnoyi literatury "Dnipro".

- Lecke, M. Rossiya–Gruziya posle imperii. Sbornik statey (gv. 31-55). [Russian-Georgian Literary Relations and their Study in Societal Context. Russia–Georgia after the Empire. Collection of articles (pp. 31-55).] Moskva: Novoye literaturnoye obozreniye .
- leit'oni, s. (1996). erosi da imp'eria rusul lit'erat'urashi sakartvelos shesakheb. inglisurdan targmna zurghan gemazashvilma.[Eros and empire in Russian literature about Georgia. Translated from English by Zurgan Gemazashvili] saunje #1-2, (pp. 310-320). tbilisi.
- Mushkudiani, O. (1986). Z istoriyi ukrayins'ko-hruzyns'kykh literaturno-kul'turnykh vzayemyn XIX – pochatku XX st. . [From the history of Ukrainian-Georgian literary and cultural relations of the 19th – early 20th centuries] Kyiv: Naukova dumka.
- Nayenko, M. (1993). Nauka i kon'yunktura. Ukrayins'ke literaturoznavstvo 1917-1992 rokiv[Science and the situation. Ukrainian literary studies 1917-1992] . Kyiv: PBMP "Fotovideoservis"
- Novak, B. (2018). Doslidzhennya Kavkazu na storinkakh vydannya "Skhidnyy svit/Chervonyy skhid" (1927–1931 rr.). [Research of the Caucasus in the pages of the publication "Eastern World/Red East" (1927–1931)] Naukovi zapysky Natsional'noho universytetu «Ostroz'ka akademiya», seriya «Istorychni nauky», № 27 .<https://histj.oa.edu.ua/about>, (str. 227-231)
- Pavlychko, S. (2016). Natsionalizm, seksual'nist, oriyentalizm. Skladnyy svit Ahatanhela Kryms'koho. [Nationalism, sexuality, orientalism. The complex of world of Agathangel of Krimsky] Kyiv: Vydavnytstvo "Osnovy"
- Panchenko, V. (2019). Mykola Bazhan. Pantsyr dlya Hamleta. Dorohy i rozdorizhzhya Mykoly Bazhana. Literaturnyy landshaft Ukrayiny XX stolittya. 50 "slydiv" (gv. 222-231). [Mykola Bazhan. Armor for Hamlet. Mykola Bazhan's roads and crossroads. Literary landscape of Ukraine. 20th century. 50 "slides" (pp. 222-231)]. Kyiv: "Yaroslaviv Val" Publishing House.
- Rumiantsevi, S. (2017). Sazeimo ghonisdziebebi khalkhisatvis. T'ransnatsionaluri mekhsieryba samkhret k'avk'asiashi. Sazghvrebs mighma. K'onplikt'i da tanamshromloba samkhret k'avk'asiashi (89-124). [Commemorative events for people. Transnational memory in the South Caucasus. beyond the borders. Conflict and Cooperation in the South Caucasus (89-124)]. Tbilisi: shp's "sezani".
- Said, E. (2016). Oriyentalizm. Zapadnyye kontseptsii Vostoka. Perevod s angliyskogo A.V. Govorunova. [Orientalism] Sankt-Peterburg: "Russkiy Mir".
- Sarbey, V. (1968). Akademik A. Kryms'ky i Hruziya. Rayduzhnyy mostamy. Ukrayins'ko-hruzyns'ky literaturni zv'yazky (gv. 241-253). [Academician A. Krymsky and Georgia. Rainbow bridges. Ukrainian-Georgian literary connections (pp. 241-253)] Kyiv: Vydavnytstvo khudozhnoyi literatury "Dnipro".
- Ts'ipuria, B. (2010). T'ot'alit'aruli da natsionaluri modelebi, rogorts binaruli op'ozitsiebi. Saertashoriso sametsniero k'onperentsiis "t'ot'alit'arizmi da lit'erat'uruli disk'ursi. Meotse sauk'unis gamotsdileba" masalebi (178-183) [Totalitarian and National Cultural Models, as Binary Oppositions. International Scientific Conference Totalitarianism and Literary Discourse. 20th experience. Proceedings]. Tbilisi: Institute of Literature Press.
- Yekel'chyk.S. (2008). Imperiya pam'yati. Rosiys'ko-ukrayins'ki stosunky v radyans'kyky historychni uyavi. [Stalin's Empire of Memory. Russian-Ukrainian Relations in the Soviet Historical Imagination. Translation by M. klymchuk] Kyiv: Vydavnytstvo "Chasopys "Krytyka".